ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი

№–4

2021 წელი, 29 დეკემბერი, 10:00 სთ.

ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ზურაბ აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
გიორგი ონიანი

მოწვეული პირები:

- მარიამ ჩივაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი;
- ნათია ვერძაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსი;
- სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ირაკლი თავართქილაძე - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
2. "ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე 47.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1049) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე 40.44 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
3. „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევი N5-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.027) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქ. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
4. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
5. „ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ის კორპუს N2-ში, კორპუს N4-სა და კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.167) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
6. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 83.48 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.171.01.03.039) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
7. "ქ. თბილისში, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი N22ა-ს მიმდებარედ 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.03.031.022) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელეგანტი 2017"-ისთვის (ს/ნ: 405222334) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
8. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს" (ს/კ: 206028993) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-513-1-24980 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. ქალაქ თბილისის საკრებულოს კომისიათა შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

12. „ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ. N24 (ს/კ N01.14.08.007.064) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „იქსორის“ (ს/კ 405168946) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ქსანი თაუერის“ (ს/ნ 405475034) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქსნის ქ. N28 (ს/კ N01.12.08.003.003) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 - ში (ს/კ N01.18.09.004.058, N01.18.09.004.059, N01.18.09.004.060) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ 404541812) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

19. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ„ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხი გააცნო და წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ქალაქ თბილისის სამი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის დემონტაჟის შედეგად ამ შენობაში განთავსებული 20 (ოცი) ერთეული დასახელების მეორადი მოძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა სსიპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, აღნიშნული მოძრავი ქონების ა(ა)იპ **„საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის პროფესიული კოლეჯისთვის“ გადაცემის მიზნით.**

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დადებითი რეკომენდაცია, დაინტერესებაში არსებული მეორადი მოძრავი ქონების საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა** განაცხადა, რომ კოლეჯის სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული მოძრავი ქონება გადაეცეს აღნიშნულ სასწავლებელს და არა საპატრიარქოს.

„შეუძლებელია საპატრიარქოს ყველა ა(ა)იპ-ის საჭიროებების შესწავლა, აღნიშნულ საკითხს მუნიციპალიტეტი ვერ განიხილავს და გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. თავად საპატრიარქო განსაზღვრავს ვის სჭირდება დახმარება“ - **განაცხადა ირაკლი თავართქილაძემ.**

„მართმადიდებლური ეკლესიის გარდა მუნიციპალიტეტს, დახმარების თაობაზე მიმართავს სხვა რელიგიური კონფესიებიც, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული პირები, ჩვენ გავნიხილავთ ყველა წინადადებას და მიზანშეწონილობის შემთხვევაში ვეხმარებით ყველას“, - **განაცხადა ავთანდილ ცინცაძემ.**

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მისამართზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თაობაზე რიგი განკარგულებათა პროექტები, მათ შორის, **მომხსენებელმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-2** საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ვაკის რაიონის გამგეობის შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე **47.59 კვ.მ** უძრავი ქონება და ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე **40.44 კვ.მ** უძრავი ქონებ, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ელისო ფარჯიანს, რომელიც, 2012 წლიდან** დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ **ელისო ფარჯიანის ოჯახი არის 2002 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული,** ამასთან, ზემოხსენებული უძრავი ქონების დაკანონების შემთხვევაში, მას (ასევე ელისო ფარჯიანის დედას - დაზარალებული) აღარ ექნება პრეტენზია სხვა ფართზე.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე ელისო ფარჯიანის საკუთრების უფლება 2014 ამონაწერით რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე მდებარე **51.93 კვ.მ** უძრავ ქონებაზე. აღნიშნული უძრავი ქონება მოქალაქემ გაასხვისა 2014 წელს. სხვა ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. **ირაკლი თავართქილაძემ** ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-3** საკითხზე და განმარტა, რომ ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევი N5-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ **დევნილის** სტატუსის არმქონე პირებს, **მოქალაქეებს - გიორგი ბახუტაშვილსა (53.76 კვ.მ.)** და **ნანა ბოჭორიშვილს (25.76 კვ.მ.),** რომლებიც აღნიშნულ

მისამართზე ცხოვრობენ 2002-2008 წლებიდან, რაც დასტურდება შსს-ს გასაუბრების ოქმებითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

სააგენტოს ხემძღვანელმა აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის თანახმად, **ნანა ბოჭორიშვილის** ოჯახი გახლავთ სოციალურად დაუცველი.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილია კომუნალური გადასახადის ქვითრები და დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. **ირაკლი თავართქილაძემ,** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა № 5-ში, კორპუს №1-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ მოქალაქეებს - **გოჩა ნოზაძესა (23.7 კვ. მ.)** და **მანუჩარ ცეცხლაძეს (47.77 კვ. მ.),** რომლებიც **2005-2008** წლებიდან ცხოვრობენ აღნიშულ მისამართზე, რაც დასტურდება შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებითა და საბურთალოს რაიონის გამგეობის დიღომი-ვაშლიჯვრის საუბნო განყოფილების წერილებით. რაც შეეხება შსს-ს ზეპირი გასაუბრების ოქმებს, მომხსენებლის თქმით, აღნიშნული დოკუმენტაციის მიხედვით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ცხოვრობენ მათ დაინტერესებაში არსებულ ფართებში.

სააგენტოს ხემძღვანელმა იქვე დასძინა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის მიხედვით, **მანუჩარ ცეცხლაძე** ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხს, **ირაკლი თავართქილაძემ** განმარტა, რომ ნაძალადევის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ის კორპუს N2-ში, კორპუს N4-სა და კორპუს N5-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **N21.1781.1970** განკარგულების დანართით გათვალისწინებულ 7 პირს, **(ჯამში 267.95 კვ.მ უძრავი ქონება)**, რომლებიც ოჯახთან ერთად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე **2007-2010** წლებიდან დღემდე. აღნიშნული დასტურდება, შსს-ს წერილით, ბმა **„ცხუმი - 2018“-ის** ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმებითა და ნაძალადევის გამგეობის ნაძალადევის საუბნო განყოფილების შემოწმების ოქმით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. **ირაკლი თავართქილაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **83.48 კვ.მ** უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.171.01.03.039) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსნებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34, სართული 12, ბინა N39-ში მდებარე 83.48 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.171.01.03.039) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, 140,000 (ასორმოცი ათასი) ლარად, *შპს „ქოზი ჰოუმ თბილისისთვის“ (ს/ნ: 406228283)* საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებელმა განავრცო საკითხი და ისაუბრა იმ პრეისტორიაზე, რომელიც საკითხთან დაკავშირებით იყო, კერძოდ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს გაეწია რეკომენდაცია განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში", თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ-ს. განკარგულების მე-2 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ბინა ერთეული/ერთეულების ფართობი განისაზღვრა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით), ხოლო განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე, ზემოაღნიშნული ბინა ერთეულის/ერთეულების მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა დაევალა სააგენტოს.
- მითითებული განკარგულებისა და „ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.171) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 6 მაისის ბრძანების შესაბამისად, სააგენტოსა და შპს „ქოზი ჰოუმ თბილისს" (შემდგომში - „კომპანია") *შორის 2019 წლის 9 ოქტომბერს* გაფორმდა ხელშეკრულება „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") და შესაბამის უძრავ ქონებაზე განაშენიანების ინტენსივობის (კ2) კოეფიციენტის გაზრდის მაკომპენსირებელ ღონისძიებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის (დღეის მდგომარეობით: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) 2019 წლის 2 ოქტომბრის წერილის თანახმად, კომპანიას, მუნიციპალიტეტისათვის ჯამში **81.48 კვ.მ** საცხოვრებელი ფართის გადაცემა, ე.წ. „თეთრი კარკასის მდგომარეობაში" (შემდგომში - **„საცხოვრებელი ფართ(ებ)ი"/„უძრავი ქონება"**), ვალდებულების სახით განისაზღვრა. მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება: ქალაქ თბილისი,

სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა N34, ფართით - 83.48 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.171.01.03.039) ე.წ „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში".

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წელს N01.72.14.036.171.01.03.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 163,287 (ასსამოცდასამი ათას ორას ოთხმოცდაშვიდი) ლარად (საწყისი საპრივატიზებო საფასური) ორჯერ გამოცხადდა ელექტრონულ აუქციონზე (აუქციონი N585 - ლოტი N6 და აუქციონი N603 - ლოტი N31), თუმცა მითითებული უძრვი ქონება არ გასხვისდა. შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-82 დადგენილების დანართით დამტკიცებული წესის (**შემდგომში - „პრივატიზების წესი"**) და სააგენტოსა და კომპანიას შორის 2021 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის" (**შემდგომში - „მემორანდუმი"**) თანახმად, მთავრობას წარედგინება საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34, სართული 12, ბინა N39-ში მდებარე 83.48 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და კომპანიას შორის 2021 წლის 4 ნოემბერს მემორანდუმის გაფორმების შემდგომ, სააგენტოს 2021 წლის 8 ნოემბრის წერილით წარედგინა კომპანიის მიმართვა, რომლის თანახმადაც კომპანია გამოთქვამს მზაობას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34 მდებარე 83.48 კვ.მ უძრავი ქონების 163,287 ლარის ნაცვლად, 140,000 ლარად შეძენის თაობაზე.
- ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს *შპს „ქოზი ჰოუმ თბილისი"-ს (ს/ნ: 406228283)* თხოვნის დაკმაყოფილებას მითითებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 30 მარტის N002128221 ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ ღირებულებაზე (163,287 (ასსამოცდასამი ათას ორას ოთხმოცდაშვიდი) ლარი) ნაკლები ოდენობით გასხვისების შესახებ. მთავრობის გადაწყვეტილებით, N01.72.14.036.171.01.03.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ღირებულების შემცირება და 140,000 (ასორმოცი ათასი) ლარად პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება განპირობებულია მუნიციპალიტეტის მიერ მითითებული უძრავი ქონების ეფექტურად/რაციონალურად პრივატიზებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების მობილიზების, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების** მითითება. აგრეთვე, ამავე წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დამატება. ამასთან,

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. **ირაკლი თავართქილაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი N22ა-ს მიმდებარედ **46 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.03.031.022) პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ელეგანტი 2017“-ისთვის** (ს/ნ: 405222334) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი N22ა-ს მიმდებარედ **46 კვ.მ** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ელეგანტი 2017“-ისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - **5 (ხუთი) წელი;**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური - **5 520 (ხუთი ათას ხუთას ოცი) ლარი;**

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, **46 კვ.მ** მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ კომპანია საკუთრებაში ფლობს მიმდებარედ არსებულ **70.61 კვ.მ ფართს და ანტრესოლს 65.83 კვ.მ.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. **ირაკლი თავართქილაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს“ (ს/კ: 206028993) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-513-1-24980 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს“ შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიმდებარე არეალთან ერთად“ - გაუქმება.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს“ (უფლებამონაცვლე: შპს „ლაღიძე პლაზა“) შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, კვარტალი II-ის მიმდებარედ არსებული 370 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქონების გადაცემის პირობად განისაზღვრა შემდეგი შეზღუდვები:

ბ) შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

გ) მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიმდებარე არეალთან ერთად.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, პრივატიზებული ქონება სხვა უძრავ ქონებებთან გაერთიანდა და დარეგისტრირდა შესაბამისი საკადასტრო კოდით. მის მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „ლაღიძე პლაზა“. ამასთან, პრივატიზებულ ქონებაზე დადასტურდა ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულება და სააგენტოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ ქონებაზე მოიხსნა შესაბამისი შეზღუდვა. გარდა ამისა, მყიდველმა მოითხოვა პრივატიზებული ქონების სხვა უძრავ ქონებებთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საკადასტრო ერთეულზე ხელშეკრულების „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმებაც, იმ მოტივით, რომ მყიდველის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი არის 5000 კვ.მ.-ზე ნაკლები, მასზე არ არის მოთხოვნილი განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის თანახმად, პრივატიზებული ქონების სხვა უძრავ ქონებებთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საკადასტრო ერთეული აკმაყოფილებს ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონისთვის - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილებით დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს. შესაბამისად, შესაძლებლია არსებული ვალდებულების გაუქმება.

დასასრულს, სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პრივატიზებული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისათვის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის დასკვნის მომზადებისას გათვალისწინებული იყო მხოლოდ ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა, შესაბამისად, ხელშეკრულების „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმების შემთხვევაში მყიდველის მიერ რაიმე თანხა დამატებით გადასახდელი არ იქნება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსმა - **ნათია ვერძაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილია დადგენილების პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები, კერძოდ:

- „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ განხორციელების წესი”,
- „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“,
- „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი”,
- „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების განხორციელების წესი”,
- „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპოგრამების განხორციელების წესი“
- „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“,
- „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“,

ნათია ვერძაძემ დეტალურად ისაუბრა აღნიშნული ქვეპროგრამებით მოსარგებლეთა წრეზე, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობებსა და ანგარიშგების ფორმაზე. ქვეპროგრამების განხორციელების მექანიზმზე, ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ დახმარების მოცულობასა სხვა მნიშვნელოვანი პროცედურებზე.

ნათია ვერძაძემ აღნიშნა, რომ მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით ემატება „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომლის განხორციელებაც დაიწყება 2022 წლიდან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოსარგებლე პირები არიან სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის წლიური ლიმიტი შეადგენს 500 ლარს, რომლის გამოყენება

შესაძლებელია მრავალჯერადად, ლიმიტის ამოწურვამდე, კალენდარული წლის განმავლობაში.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №72-137 დადგენილება. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის ნაცვლად უნდა მიეთითოს ამავე კანონის 64-ე მუხლის „ა" პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ნათია ვერძაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილია დადგენილების პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები, კერძოდ:

1. „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი",
2. „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი",
3. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელებისწესი",
4. „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი",
5. „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი",
6. „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურებისქვეპროგრამის განხორციელების წესი",
7. გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი".

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა, თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის შვიდი ქვეპროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება ქვეპროგრამებით მოსარგებლეთა წრე, ქვეპროგრამების განხორციელების პირობები და სხვა მნიშვნელოვან პროცედურები.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ამჟამად მოქმედ დადგენილებასთან შედარებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სიახლეებს, კერძოდ, გაფანტული სკლეროზის მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამას დაემატა, კვლევების დაფინანსება. განახლებული ქვეპროგრამა გულისხმობს არამარტო გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებასა არამედ მკურნალობის პროცესში მდგომარეობის შეფასების მიზნით მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRT) დაფინანსებას ქიმიური აგენტების გამოყენებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს კვლევები უფინანსდებათ სრულად, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, წესით გათვალისწინებული ტარიფის ფარგლებში, წელიწადში ერთხელ.

მომხსენებელმა ისაუბრა დაავადებათა სკრინინგის ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც მოსარგებლე პირების მოძიება და ჩართვა განხორციელდება ორგანიზებული მოწვევის გზით, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერმოწოდებული სიების შესაბამისად.

დასასრულს, ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსმა განმარტა, რომ სამართლებრივი აქტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან, არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის ბიუჯეტიდან და **არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების დანართების სახით დასამტკიცებელ წესებში ნაცვლად ეპიდემიისა, კოვიდ-19 ვირუსი მოხსენიებულ იქნას როგორც - „პანდემია". ამასთან მიზანშეწონილია, დადგენილებით დასამტკიცებელი N7 დანართი გაიმართოს ტექნიკური თვალსაზრისით მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის ნაწილში.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამწრე წევრებს შეახსენა, რომ მ/წლის 23 დეკემბერს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს წერილით მიმართა ამავე საკრებულოს წევრმა **საბა ბუაძემ** ფრაქციის **„ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის" რეგისტრაციის შესახებ.** ზემოაღნიშნული წერილი, შემდგომი რეაგირების მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით

დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, ამავე კომისიის დასკვნის საფუძველზე ფრაქცია რეგისტრირებულად ჩაითვალა თავმჯდომარისთვის მიმართვის თარიღიდან. ამასთან, საკრებულოს ფრაქციის შექმნამ გავლენა მოახდინა ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, ვინაიდან, ახალშექმნილ ფრაქციას უნდა განესაზღვროს საკრებულოს კომისიებში მონაწილეობისთვის შესაბამისი კვოტა.

როგორც **კომისიის თავმჯდომარემ** განმარტა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ განსაზღვრა პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტები, რომელიც საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა მ/წლის 27 დეკემბრის სხდომაზე. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საკრებულოს ფრაქციებმა წარმოადგინეს ფრაქციის წევრთა კანდიდატები საკრებულოს კომისიებში გაწევრების მიზნით.

ლევან ჟორჟოლიანმა იქვე დასძინა, რომ საკრებულოს წევრის საბა ბუაძის წერილს თან ახლავს ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ 2021 წლის 23 დეკემბრის სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც ფრაქცია წარადგენს:

- ✓ ფრაქციის წევრ - **ცოტნე კობერიძეს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრად, ასევე, ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრად.
- ✓ **საბა ბუაძის** კანდიდატურას წარადგენს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრად, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრად.
- ✓ **ვახტანგ სურგულაძეს** წარადგენს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრად და ასევე, გარემოს დაცვის კომისიის წევრად.

ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს ასევე აცნობა:

- ✓ მ/წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა **ალექსანდრე რატიშვილმა** შესაბამისი განცხადებით მომართა ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ არის ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი და ასევე, სურს შევიდეს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.
- ✓ მ/წლის 28 დეკემბერს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს წერილით მიმართა საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ავთანდილ ცინცაძემ. წერილს თან ერთვის ფრაქციის წევრების მარიამ ზაქარიაშვილის და ალექსანდრე ხუჯაძის განცხადებები და ფრაქციის მ/წლის 28 დეკემბრის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმოადგენს **მარიამ ზაქარიაშვილის** კანდიდატურას ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიაში გასაწევრიანებლად და ამასთან, მარიამ ზაქარიაშვილი ტოვებს განათლებისა და კულტურის კომისიას. ამავე ოქმის მიხედვით ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმოადგენს **ალექსანდრე ხუჯაძეს** გარემოს დაცვის კომისიაში გასაწევრიანებლად, ამასთან ალექსანდრე ხუჯაძე ტოვებს სატრანსპორტო საკითხთა კომისიას.

დასასრულს, **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ კომისია დანართის სახით წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწვიტეს, რომ დაცულია რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურული წესი და აღნიშნეს, რომ კომისიის მიერ დანართის სახით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობა უნდა წარედგინოს ბიუროს ცნობის სახით მისაღებად.

მოისმინეს:

12. **ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით **მე-12** საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, არჩილ ამაღლობელის ქ. N24-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „იქსორის" მიმართ **დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.** ამასთან, პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის **N28** ოქმი.

ლევან ჟორჟოლიანმა მოხსენების დასაწყისში, კომისიის წევრებს შეახსენა, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული** „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" **35-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული უფლებამოსილება:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, **დაუმთავრებელი მშენებლობების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები. დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმება.**

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა **შპს „იქსორმა"** და მოითხოვა ქ. თბილისში, არჩილ ამაღლობელის ქ. N24-ში არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება. ხოლო, კომისიის მიერ, **საკითხის სხდომაზე განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ. N24 არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „იქსორის" წარმოდგენილი განცხადებისა და

დოკუმენტაციის ფარგლებში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნული კი დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

- დაინტერესებული პირი ითხოვს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას: მისამართზე - ქ. თბილისი არჩილ ამაღლობელის ქუჩა N24-ში შეთანხმებული არსებული ზონისა და პარამეტრების მიუხედავად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე, საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) შესაბამისად.

- მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების საჭიროებას განმცხადებელი ასაბუთებს შემდეგი არგუმენტებით. კერძოდ, როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ. N24 არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის არქიტექტურული პროექტის დამუშავების ეტაპზე დაზუსტდა რიგი საკითხები, რისთვისაც საჭიროა დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებები. კერძოდ, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ვერ მოხდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის რეგლამენტების ფარგლებში.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა კომისიის მიერ 2021 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების შესახებ: რამდენადაც, შპს „იქსორი"-ს მიერ მოთხოვნილი მხარდამჭერი ღონისძიების დაზუსტება არ იწვევს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ცვლილებას, **კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია,** ქ თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქუჩა N24-ში არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაზუსტდეს ხელშემწყობი ღონისძიებები. **ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:**

- **შპს „იქსორი"- ს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქუჩა N24 განესაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიება:**

ა) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის რეგლამენტების მიუხედავად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულაში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თარიღი. ამასთან, ტექნიკურად უნდა გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 მუხლები და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. **ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე-13 საკითხად განსაზღვრული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ქსანი თაუერის“ მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქსნის ქ. N28 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, საკითხის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N27 ოქმი.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებით მიმართა შპს „ქსანი თაუერმა“ და ითხოვა მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის სხდომაზე განხილვის დროს **გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- **კომისიამ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ზემომითითებულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ქსნის ქ. N28- ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ;

- **დაინტერესებული პირის** **განმარტებით,** მიღებულ პრეფერენციებთან ერთად საჭიროებს გადამეტებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2 – 10.4) საანგარიშო ფართის ფარგლებში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის წილის ფუნქციური ცვლილებას.

- **დაინტერესებული პირი** გამოთქვამს მზაობას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2 – 10.4) საანგარიშო ფართის ფარგლებში საცხოვრებელი და

არასაცხოვრებელი ფართობის წილის ფუნქციური ცვლილებისთვის, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ფართი - ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ს ოდენობით.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების დაზუსტებას: კერძოდ, **გადამეტებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2 4.6-დან – 10.4-მდე) საანგარიშო ფართობი განისაზღვროს საცხოვრებელ სივრცედ.**

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა კომისიის მიერ, 2021 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების შესახებ: რამდენადაც შპს „ქსანი თაუერის" მიერ მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიებები არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, **კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია,**

ზემომითითებულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, განისაზღვროს დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები;

ამასთან, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესებით ფუნქციური ზონისათვის დადგენილ მიწის ნაკვეთის პარამეტრების (ზომების მიხედვით) 3/4-ს, რასთან დაკავშირებითაც გამოყენებულ უნდა იქნეს დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები. ხოლო, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:**

- **შპს „ქსანი თაუერს" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე ქ. თბილისი, ქსნის ქ. N28- განესაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის გარეშე, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შეთანხმდეს და მშენებლობის ნებართვა გაიცეს ისე, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებული საანგარიშო ფართობი (კ-2 – 4.6-დან 10.4-მდე) განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციით;

ბ) არ გავრცელდეს „ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 24-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი რეგულირება;

გ) მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს გადასცეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ფართი - ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ს ოდენობით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულაში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თარიღი. ამასთან, ტექნიკურად უნდა გაიმართოს განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე-14 საკითხად განსაზღვრული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ,,ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 - ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს ,,მეტი დეველოპმენტის" მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, წარმოდგენილია, **პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულება** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N29 ოქმი.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებით მიმართა **შპს ,,მეტი დეველოპმენტმა"** და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 - ში - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. ამასთან, კომისიის მიერ, სხდომაზე **საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ა) ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 - ში (ს/კ01.18.09.004.059, ყოფილი ს/კ 01.18.09.004.047) გაცემულია სამშენებლო ნებართვა (1998 წლის 31 დეკემბრის №175 მშენებლობის დაწყების ნებართვით და 2010 წლის 4 იანვრის №01/18 ბრძანებით (სანებართვო მოწმობა №ნ/15-1).

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება მოიცავს შემდეგი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს: 01.18.09.004.058; 01.18.09.004.059; 01.18.09.004.060; 01.18.09.004.027; 01.18.09.004.042; 01.18.09.004.043, 01.18.09.004.031, 01.18.09.004.029).

გ) ამ ეტაპზე აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე - 01.18.09.004.058; 01.18.09.004.060; 01.18.09.004.027; 01.18.09.004.042; 01.18.09.004.043, 01.18.09.004.031, 01.18.09.004.029)- ვრცელდება სსზ-2 (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2).

გ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი - კ-1= 0.7;

გ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 = 4.6;

გ.გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3 =0.2.

დ) დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტი განთავსებულია მიწის ნაკვეთზე (01.18.09.004.059).

ზემოთაღნიშნული სამშენებლო ნებართვის ფარგლებში:

დ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი - კ-1= 0.7;

დ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 = 4.6;

დ.გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3 =0.2.

ე) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დაზარალებულებულ პირთა სიის მიხედვით, გადასაცემია 111 ფართი, ჯამში - 14 342.4 კვ.მ.

დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება:

I მიწის ნაკვეთზე - (ს/კ 01.18.09.004.059) განთავსებულია დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტი.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სიაში სრულად შედიან 01.18.09.004.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეები.

საჯარო რეესტრში ფიქსირებული 64 მესაკუთრის (მათგან 4 იურიდიული პირი) კუთვნილი ქონების საერთო ფართი შეადგენს - 7 220,3 კვ.მ-ს. მათგან:

- შპს ,,მეტი დეველოპმენტის" საკუთრებაა - 338.8 კვ.მ.;
- შპს ,,ზაალის" საკუთრებაა 288.2 კვ.მ. (3 ფართი, რომლებზეც ამონაწერში დარეგისტრირებულია ფიზიკური პირების მომავალი საკუთრება);

რეესტრში რეგისტრირებული 64 პირიდან 28 პირზე დამატებით წარმოდგენილია დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები, შეთანხმებები და სასამართლო გადაწყვეტილებები მესაკუთრედ ცნობის შესახებ).

2. მიწის ნაკვეთზე - (ს/კ 01.18.09.004.058, 170.23 კვ.მ.-ს.):

მესაკუთრედ ფიქსირდება კერძო პირი - ნათია ჩადუნელი (პ/ნ 01001072519),

როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, აღნიშნული მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო კერძო პირი გელა მელქაძე (პ/ნ01015002237) წარმოდგენილია შპს ,,ზაალსა" და გელა მელქაძეს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.09.004.058) მესაკუთრეს, მიწის (639 კვ.მ.) გადაცემის სანაცვლოდ შპს ,,ზაალისგან" უნდა მიეღო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში 610 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი.

გელა მელქაძის მიმართ არსებული ვალდებულება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, მიწის ნაკვეთი (ს/კ01.18.09.004.058) შედიოდა დაუმთავრებელი მშენებლობის საპროექტო არეალში და ამ ეტაპზე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებისთვის, აუცილებელია აღნიშნული მიწის ნაკვეთის შემოერთება.

3. მიწის ნაკვეთი (ს/კ01.18.09.004.060, 698 კვ.მ)

უძრავ ქონებაზე ფიქსირდება 1 მესაკუთრე - გიორგი შარვაშიძე, რომლის საკუთრებაშია არასასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთი - 698 კვ.მ., შენობა ნაგებობის ჩამონათვალი N1, N2;

როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, აღნიშნული მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო კერძო პირი მიხეილ ჯიშკარიანი (პ/ნ01015004997).

წარმოდგენილია შპს ,,ზაალსა" და მიხეილ ჯიშკარიანს შორის დადებული ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.09.004.060) მესაკუთრეს, მიწის (715 კვ.მ.) გადაცემის სანაცვლოდ შპს ,,ზაალისგან" უნდა მიეღო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში 735 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი.

ასევე, წარმოდგენილია აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს #A12039610-013/001 2012 წლის 1 სექტემბრის განკარგულება, რომლის მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.18.09.004.060) იყო შპს „ზაალი"-ის საკუთრება და საჯარო აუქციონის საფუძველზე გახდა გიორგი შარვაშიძის საკუთრება.

როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, მიწის ნაკვეთი (ს/კ01.18.09.004.060) შედიოდა დაუმთავრებელი მშენებლობის საპროექტო არეალში და ამ ეტაპზე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებისთვის, აუცილებელია აღნიშნული მიწის ნაკვეთის შემოერთება.

4. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.18.09.004.043, 357 კვ.მ)
აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ამ ეტაპზე ფიქსირდება კერძო პირი აკაკი შაყულაშვილი (პ/ნ 11001013803)
როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, მიწის ნაკვეთების (ს/კ01.18.09.004.027, 279 კვ.მ) და (ს/კ 01.18.09.004.043, 357 კვ.მ) თავდაპირველი მესაკუთრე იყო ვაჟა ჯღარკავა (პ/ნ 01015017013).

წარმოდგენილია ვაჟა ჯღარკავასა და შპს ,,ზაალს" შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მიწის მესაკუთრეს მიწის ნაკვეთების (ს/კ01.18.09.004.043 , 357 კვ.მ.) და (ს/კ01.18.09.004.027, 279 კვ.მ.) და მისი საკუთრებაში არსებული - 87.62 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ, შპს ,,ზაალისგან" უნდა მიეღო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.004.059) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში 497 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, აღნიშნული მიწის ნაკვეთები (ს/კ 01.18.09.004.027 და ს/კ01.18.09.004.043) შედიოდა დაუმთავრებელი მშენებლობის საპროექტო არეალში და ამ ეტაპზე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებისთვის, აუცილებელია აღნიშნული მიწის ნაკვეთის შემოერთება.

5. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.18.09.004.042, 100 კვ.მ)
უძრავ ქონებაზე ფიქსირდება 1 მესაკუთრე - ნათია ხითარიშვილი (პ/ნ 36001005813)
როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, აღნიშნული მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო მამუკა მუჯირი.

წარმოდგენილია ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების დედანი მამუკა მუჯირს, შპს ,,ზაალს" და ლილი ფხალაძეს შორის; წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მამუკა მუჯირი შპს ,,ზაალს" გადასცემს კუთვნილ მიწის ნაკვეთს - 100 კვ.მ. ოდენობით, სანაცვლოდ შპს ,,ზაალისგან" უნდა მიიღო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში 110 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი.

6. მიწის ნაკვეთი (ს/კ01.18.09.004.027, 279 კვ.მ)

ამ ეტაპზე ფიქსირდება 6 მესაკუთრე (ვიქტორ ჯღარკავა, როზანა გულორდავა, ლიანა ლუარსაბიმვილი, ნატა ანთიძე, დალილა ანთიძე, ლალი ჩაფიჩაძე)

7. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.18.09.004.031, 220კვ.მ)
აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2012 წლის მდგომარეობით არის კერძო პირის, ლილი ფხალაძის (პ/ნ 01015015828) საკუთრებაში.

წარმოდგენილია ლილი ფხალაძესა და შპს ,,ზაალს" შორის დადებული ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, 220 კვ.მ- მიწის და შენობა ნაგეობობის (მშენებარე) სანცვლოდ ლილი ფხალაძეს უნდა მიიღო 200 კვ.მ. და 200 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ასევე:

როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.18.09.004.061), წარმოადგენდა შპს „ზაალის" საპროექტო არეალის შემადგენელ კომპონენტს (აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს გივი ჩხენკელსა და შპს „ზაალს" შორის დადებული ხელშეკრულება), დღეის მდგომარეობით საჯარო რეესტრშივე დაცული მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს შპს „ბანი ლუქსი"-ის საკუთრებას, რაზეც სხვა კომპანიის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენება. დაინტერესებულ პირს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული მიწის სანაცვლოდ საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.09.004.029) საპროექტო არეალში ჩართვა.

გარდა საჯარო რეესტრით დადასტურებული რეგისტრირებული მესაკუთრეებისა:

1. წარმოდგენილია ფიზიკურ პირებსა და შპს ,,ზაალს" შორის გაფორმებული 23 ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მათზე ჯამურად გასაცემია - 4942.2 კვ.მ.,
აღნიშნული 23 ხელშეკრულებიდან:

14 ხელშეკრულება - არის ნოტარიულად დამოწმებული/წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რომელთა მიხედვითაც დასტურდება ფართის სახით გასაცემი ვალდებულება ჯამურად - 4672 კვ.მ -ის ოდენობით. დაემატა ლილი ფხალაძე (400 კვ.მ)

9 ხელშეკრულება - ხელმოწერილია მხარეთა მიერ და დამოწმებულია შპს ,,ზაალის" ბეჭდით. ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია დედნის სახით (ფართის სახით გასაცემი ვალდებულება ჯამურად- 886.6 კვ.მ.). მათგან, 6 პირთან (შალვა შველიძე, მერაბ ხურციძე, მიხეილ ლეონიძე, მამუკა ქარქაშაძე, იოსებ გულოშვილი, დავით ბექაური) გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს თანხის გადახდის დამადასტურებელი შემოსავლის ორდერი/ქვითარი. აღნიშნული 6 ხელშეკრულების ფარგლებში გასაცემი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 453.8 კვ.მ-ს

საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება 5 პირის მიმართ არსებობს თანხის სახით გასაცემი ვალდებულება - ჯამურად 121 450 აშშ დოლარის ოდენობით.

გარდა ამისა, შპს ,,მეტი დეველოპმენტი" გამოთქვამს მზაობას დააკმაყოფილოს მისამართზე ამხანაგობა ,,ამირეჯიბი 97"- სა და შპს ,,ზაალს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ამხანაგობა ,,ამირეჯიბი 97"-ის მიმართ ფართის სახით გასაცემი ვალდებულება შეადგენს 1250 კვ.მ-ს

როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, ამხ. ,,ამირეჯიბი 89"- მა მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.10.02.078., მისამართი - ვაზისუბანი, კორპუსი 15 ა-ს მიმდებარედ) გადასცა შპს ,,ზაალს" საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით.

იბა ,,ამირეჯიბი 89" - სა და შპს ,,ზაალს" შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,ზაალს" ამხანაგობისთვის უნდა გადაეცა 1250 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

კომისიის აპარატის მიერ დადასტურებულია:

1. ფართის სახით გასაცემი ვალდებულებები - ჯამურად 11946,1 კვ.მ-ის ოდენობით;

2. თანხის სახით გასაცემი ვალდებულება - ჯამურად 121 450 აშშ დოლარის ოდენობით.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ვალდებულებები დადასტურდეს მხოლოდ დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდზე - 01.18.09.004.059.

შპს ,,მეტი დეველოპმენტი" (ს/ნ 404541812) მისამართზე - ქ. თბილისი, **გორგასლის ქ. 34** (ს/კ01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ითხოვს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას:

1. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის განსაზღვრას გადამეტებით.

2. საპროექტო წინადადების და არქიტექტურული პროექტის განვითარების მიზნით მიწის ნაკვეთების - ს/კ 01.18.09.004.009; 01.18.09.004.029; 01.18.09.004.058; 01.18.09.004.027; 01.18.09.004.031; 01.18.09.004.042; 01.18.09.004.043 01.18.09.004.060 კონსოლიდირებას სამშენებლო პროექტის სწორი განვითარებისთვის;
3. მისამართზე - გორგასლის ქ N 34 - არსებული სამშენებლო ობიექტის დემონტაჟი და ახალი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა სიმაღლის განმსაზღვრელი მოთხოვნების და ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 90 და არაუმეტეს 100 ერთეულით;
4. მისამართზე - გორგასლის ქ N 34 არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდეს სამეზობლო საზღვრების მიჯნებთან ღიობების განთავსების შეზღუდვასთან დაკავშირებით, 14.39 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;
5. მისამართზე - გორგასლის ქ N 34 სამშენებლო მოსაკრებლისგან გათავისუფლება;

6. მისამართზე - გორგასლის ქ N 34 პროექტის შეთანხმება მოხდეს არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

7. მისამართზე - გორგასლის ქ N 34 „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენება. - კერძოდ, პროექტისთვის მნიშვნელოვანია ზემოთაღნიშნული სიმაღლის განმსაზღვრელი, ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი, მიჯნის ზონის და ღიობების განმსაზღვრელი მოთხოვნებისგან გათავისუფლება;
8. მომიჯნავე მიწის მესაკუთრეთა თანხმობები, წარმოდგენილ იქნას არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაბამის სტადიაზე;

- როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, რადგან კომპლექსის მშენებლობა ხორციელდება უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 01.18.09.004.059 და მის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე, საკადასტრო ერთეულების კონსოლიდირების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება, შენობა-ნაგებობის სიმაღლის შემცირება.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს „მეტი დეველოპმენტს" (ს/ნ 404541812) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ01.18.09.004.059) - მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 23,7-ით;

ბ)ახალი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სიმაღლის განმსაზღვრელი მოთხოვნების და ავტოსადგომების რაოდენობასთან

დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 90 და არაუმეტეს 100 ერთეულით;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდეს სამეზობლო საზღვრების მიჯნებთან ღიობების განთავსების შეზღუდვასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #14-39 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;

დ) პროექტის შეთანხმება მოხდეს არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

ე) მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე შპს „მეტი დეველოპმენტის" (ს/ნ 404541812) მიერ წარმოდგენილ იქნას „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)" წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სასარგებლოდ, სამშენებლო ღირებულების ($11,740,500), 5%-ის - 587 025 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - ოდენობით (გარანტიის გაცემის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად). ამასთანავე, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 4 თვით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების ვადას.

ვ) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მიიღოს გადაწყვეტილება მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ01.18.09.004.059) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის გამოთხოვის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ შპს „მეტი დეველოპმენტი" (ს/ნ 404541812) დაარღვევს მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ მშენებლობის გეგმა-გრაფიკს და სამშენებლო ვადებს მინიმუმ 3 თვით. ამასთან, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია გამოყენებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით შპს „ზაალის" კლიენტთა/დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით.

ზ) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით შპს „მეტი დეველოპმენტთან" (ს/ნ 404541812) გააფორმოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ხელშეკრულება „მეტი დეველოპმენტის" (ს/ნ 404541812) მიერ წარმოსადგენი უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის შესახებ ამ ოქმით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთანავე, საბანკო გარანტია შენახულ (ან დაცულ) იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

თ) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ამ ოქმში მითითებულ დაზარალებულთა (ფართის სახით დასაკმაყოფილებელ პირთა მიმართ) მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ. ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში, ამ პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;

ი) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება ამ პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრიდან შესაბამისი უძრავი ქონებების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. ამ პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ;

კ) დაინტერესებულმა პირმა - შპს ,,მეტი დეველოპმენტმა" (ს/ნ 404541812), - სარეალიზაციო ფართობების განკარგვა მოახდინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

ლ) დაინტერესებულმა პირმა - შპს ,,მეტი დეველოპმენტი" (ს/ნ 404541812), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის N29 სხდომის ოქმით ფულადი სახით დადასტურებული ვალდებულებების დაფარვა მოახდინოს მშენებლობის ნებართვის აღებამდე;

მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის N29 სხდომის ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას დაინტერესებული პირის - შპს ,,მეტი დეველოპმენტის" (ს/ნ 404541812) მიერ.

აზრი გამოთქვა:

საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა რომ ტექნიკურად უნდა გაიმართოს განკარგულების პროექტის სათაური, ასევე განკარგულების პროექტის პირველი მუხლი და შესაბამისობაში მოვიდეს N29 ოქმთან და მთავრობის განკარგულების გადაწყვეტილებით ნაწილთან. ასევე, სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიი თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა,** კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო მოხელეთა საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება და 1000 ლარის ნაცვლად 1 100 ლარის ოდენობით განისაზღვრება. შესაბამისად, იზრდება საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები.

როგორც **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, საკანონმდებლო ცვლილებებთან და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებები ხორციელდება **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის **N10-26** დადგენილებაში.

გარდა ამისა, **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, თბილისის საკრებულოში, დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 4 ფრაქცია, რის შესაბამისადაც საშტატო ნუსხაში იცვლება ფრაქციის თავმჯდომარეთა რაოდენობა და ის განისაზღვრება 4 ერთეულით, იცვლება ასევე, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა და განისაზღვრება 11 ერთეულით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

საჯარო სექტორში დასაქმებული მოხელეების ხელფასების მატებასთან დაკავშირებით, საკრებულოს **ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"** სახელით განცხადება გააკეთა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა.** მისივე თქმით ფრაქციის წევრების ინიციატივით, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს თანამდებობრივი სარგო არ უნდა მოემატოთ და თანხა რომელიც მაღალჩინოსნების გასამრჯელოს უნდა მომატებოდა რიგი თანამშრომლების ხელფასებზე გადანაწილდეს.

ლევან ჟორჟოლიანი ოპოზიციის ინიციატივას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ხელფასების მატება საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად ხდება. როგორც ლევან

ჟორჟოლიანმა განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულ მოქალაქეებს, რომლებიც თბილისის საკეთილდღეოდ ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობენ, ღირსეული ანაზღაურება ჰქონდეთ. რაც შეეხება, თანამდებობის პირებისთვის თანამდებობრივი სარგოს მატებას, ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ხელფასის მატების საშუალებას 2017 წლიდან იძლეოდა, ამ შესაძლებლობით თანამდებობის პირებს არ უსარგებლიათ. რაც შეეხება განაწილებას, თანამდებობის პირთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით მიზერულ მატებას გამოიწვევდა მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომლებთან მიმართებით. თუმცა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეების ხელფასი იყოს ღირსეული და კარგი იქნება თუ, მათ შორის, ოპოზიცია როდესაც მსგავსი გადაწყვეტილებები მიიღება ხოლმე ან მომავალში მიიღებენ მხარი დაუჭირონ ასეთ გადაწყვეტილებებს და იმ ადამიანების შრომის ანაზღაურება, რომელთა შრომაზე დგას დედაქალაქის ნორმალური ფუნქციონირება არ იქნეს გამოყენებული მარტოოდენ პოლიტიკური მიზნებისთვის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიი თავმჯდომარემ - სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით ცვლილებები შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტიში. კერძოდ;

- მაჟორიტარი საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის თანამშრომლების რაოდენობასთან დაკავშირებით აღარ გავრცელდება შეზღუდვა, რომელიც გულისხმობდა არანაკლებ 3 თანამშრომლის აყვანის ვალდებულებას, შესაბამისად 15[4] მუხლის პირველი პუნქტი, ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

1. **წარმომადგენლობის თანამშრომელთაგან ერთ-ერთი ასრულებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ფუნქციებს, ხოლო დანარჩენი დასაქმებული თანამშრომლები იკავებენ სპეციალისტის თანამდებობებს.**

- წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა განისაზღვრება თვეში 3830 ლარით.

- დადგენილების პროექტის მე-9 მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

3. ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 830 ლარისა, თანახმად ფორმა N1-ისა;

ბ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1000 ლარისა, თანახმად ფორმა N2-ისა;

გ) დარჩენილი 1000 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტი ამოქმედდება 2022 წლის პირველი იანვრიდან და მისის მიღება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესებას, შემდეგი ოდენობით:

- ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღრება 3 წევრით - 66 000 (სამოცდაექვსი ათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5 500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარი).
- იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვრება 1 430 (ათას ოთხას ოცდაათი) ლარით, ხოლო ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვრება შესაბამისი პროპორციით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დარჩენილი თანხა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღება გამოიწვევს თბილისის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის N428 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** აღნიშნა, **რომ "საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ"** საქართველოს კანონის მიხედვით, 2022 წელს საჯარო მოხელეთა საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება და 1000 ლარის ნაცვლად **1 100 ლარის** ოდენობით განისაზღვრება. შესაბამისად ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გადამრავლდეს საბაზო თანამდებობრივი სარგოზე 1100 (ერთიათასასი) ლარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება ქ. თბილსისი მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების საშტატო ნუსხები.

საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, რაიონის გამგეობებში მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს უთანაბრდებათ თანამდებობრივი სარგოები, შესაბამისად საუბნო განყოფილებების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების (განყოფილების უფროსი) თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 1800 (ერთიათასრვაასი) ლარისა განისაზღვრება 2200 (ორიათასორასი) ლარით.

დასასრულს, **სერგო ბირკაძემ** აღნიშნა, რომ დადგენილება მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მსგავსად დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-18 საკითხისა, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო მოხელეთა საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება და 1000 ლარის ნაცვლად 1 100 ლარის ოდენობით განისაზღვრება. ამასთან, ორგანიზაციის

საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გადამრავლდეს საბაზო თანამდებობრივი სარგოზე 1100 (ერთიათასასი) ლარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხები.

მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დადგენილება მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. **სერგო ბირკაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს თბილისის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული **„დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“** ქვეპროგრამის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტში ცვლილებები წარუდგინა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მსგავსად 2021 წლის ბიუჯეტისა, თბილისის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია **„დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამა,** რომელიც ითვალისიწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის პირობებს და პროცედურებს.

მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ამჟამად მოქმედი წესისგან განსხვავებით, წარმოდგენილია ცვლილება, რომელიც გამგეობის უფლებამოსილების ფარგლებში, ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის ოდენობის 300 ლარიდან **500 ლარამდე** გაზრდას ითვალისწინებს.

დასასრულს, სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დადგენილება მისი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2022 წლის პირველი იანვრიდან და მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის მთავჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გარდა მიმართა კომისიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ნინო რუხაძის განსაზღვრის გადასაწყვეტად.

აღნიშნულზე თანხმობა განაცხადა ნინო რუხაძემ, ხოლო კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ნინო რუხაძის განსაზღვრის საკითხს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია